



**TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY**

**თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხდომის**

სხდომის ოქმი № 08/1 2016

თბილისი

20 აგვისტო 2016 წ.

სხდომა დაწყების დრო: 11.00

სხდომის დასრულების დრო: 14.00

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი მაკა კაჭარავა

საბჭოს წევრები: პროფესორები ვალენტინა საყვარელიძე, ირინა ჯობავა, ასოცირებული

პროფესორები: კახა კვაშილავა, ირმა ზაქარაია, მათა აღაია, ინგა მორგოშია, ირმა გულორდავა, ნინო ნასყიდაშვილი, რუსუდან ესებუა, ლია ქურხული, ელენე ჩომახიძე.

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: მაკა კაჭარავა

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. მ. კაჭარავა) ;

მოისმინეს:

თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ მაკა კაჭარავას ინფორმაცია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის №07/6 ბრძანებით შესული ცვლილებების, ასევე თჰუ 2016 წლის 19 აგვისტოს №4 აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით თანახმად, შევიდა ცვლილებები შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესები“-ში, რაც უნდა აისახოს

უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში, კერძოდ, ნაცვლად 19 - კვირიანი სემესტრული დატვირთვისა, უნდა დაფიქსირდეს 21 კვირიანი სემესტრული დატვირთვა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოდიფიცირდა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მოქმედი ევროპეისტიკის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს, 2016-2017 სასწავლო წლის სამემოდგომო სემესტრის დაწყებამდე. მომხსენებელმა ამ ცვლილებების გათვალისწინებით წარმოადგინა მოდიფიცირებული ევროპეისტიკის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები დანართი 1-ის და დანართი 2-ის სახით.

აზრი გამოთქვა: რუსუდან ესებუამ, ლია ქურხულმა, ვალენტინა საყვარელიძემ.

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე 11-ვე წევრმა, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარე ცვლილებას.

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს თჰუ რექტორს მოდიფიცირებული ევროპეისტიკის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები დანართი 1-ის და დანართი 2-ის სახით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.
3. დაევალოს თჰუ რექტორს აღნიშნული ცვლილების ბრძანებაში ასახვა.

კომისიის თავჯდომარე პროფესორი

მაკა კაჭარავა

კომისიის მდივანი

გაიანე გრიგორიანი